სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას საქმიანობის 2021-2025 წლების ანგარიში

ჩემო სენაკელებო, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს გუნდს, გუნდის თითოეულ წევრს, ჩვენს მოქალაქეებს, რომელთაც მუნიციპალიტეტის წარმატებულ მმართველობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

ჩემს სენაკელებთან კომუნიკაცია მაძლევს საშუალებას სწორად დავგეგმო განსახორციელებელი პროექტები მათი საჭიროებების გათვალისწინებით. ჩვენთვის პრიორიტეტი სწორედ მოსახლეობიდან წამოსული ინიციატივებია. მუნიციპალიტეტის განვითარებასა და განახლებაში სწორედ თითოეულმა თქვენგანმა უნდა მიიღოთ უშუალო მონაწილეობა.

ახლა შევეცდები, მოკლედ გაგაცნოთ ჩვენი მიღწევები - თუ რა გაკეთდა, განვითარების რა პერსპექტივები შევქმენით და რას ვგეგმავთ სამომავლოდ.

2021 წლიდან 2025 წლამდე სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაახლოებით 115 პროცენტით გაიზარდა და 25 მილიონ 547 ათას ლარს შეადგენს.

ჩემი მერობის პერიოდში, სოციალური პროგრამებით და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის სექტორების განვითარებით და ხელმისაწვდომობით, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისებით, ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი, შედეგზე ორიენტირებული გუნდური მუშაობით, ყველა სფეროში გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები.

ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობით ჯამში, 400-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ, რომელთა ჯამურმა ბიუჯეტმა დაახლოებით 95 მილიონი ლარი შეადგინა.

მოეწყო და რეაბილიტირდა 100 კმ-მდე გზა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის, გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზისა და ზემო-ფოცხო ალერტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, სრულად რეაბილიტირდა 5 საჯარო სკოლა - ჟიული შარტავას სახელობის N2, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის, ნოსირის, ხორშის და უშაფათის საჯარო სკოლები.

საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, განვახორციელეთ 13 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის მასშტაბური პროექტი. აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 4 საბავშვო ბაღი - ქალაქის N3, ლეძაძამეს, ფოცხოს და ძველი სენაკის საბავშვო ბაღები.

ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის პრიორიტეტია მასწავლებელებს,აღსაზრდელებსა და მოსწავლეებს შევუქმნათ ღირსეული გარემო, რომელიც შესაბამისობაში იქნება თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩვენი ვალდებულებაა ახალგაზრდებს შევუქმნათ ყველანაირი პირობა განათლების მისაღებად.

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, მუნიციპალიტეტს შევმატეთ 33 მინი სპორტული მოედანი, აქედან, 5 სპორტული მოედნის მშენებლობა მიმდინარე წელს დავასრულეთ და მიმდინარეობს 3-ის მშენებლობა.

მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ მნიშვნელოვან პროექტებზე: ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სრულად მოვაწესრიგეთ 11 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რეაბილიტაცია ჩავუტარეთ დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლას, დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრს.

ჩემი მერობის პერიოდში დავასრულეთ მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების - სენაკის სამშობიარო სახლის აღდგენა-რეაბილიტაციის ისტორიული პროექტი. ჩვენ შევძელით და ჩვენს სენაკელ სამედიცინო პერსონალს შევუქმენით ღირსეული სამუშაო გარემო. აღნიშნული პროექტით ქალაქს შევუნარჩუნეთ ტრადიციებისა და ისტორიის მქონე სამშობიარო სახლი.

მოვაწყვეთ მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრეცეები - ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განვახორციელეთ ქალაქის ცენტრალური მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი; „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში კი - ორი სკვერის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე რიონზე გადასასვლელი ამორტიზირებული ბორანი ახლით შევცვალეთ. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ბორანი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც სოფელი ზემო ჭალადიდი სირიაჩქონს უკავშირდება.

სტიქიის საპრევენციო სამუშაოების ფარგლებში 150-ზე მეტი პროექტი განხორციელდა.

სოფლის მხარდაჭერის,სამოქალაქო ბიუჯეტირების და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში მოქალაქეების ინიციატივით და ჩართულობით განვახორციელეთ 250-ზე მეტი მნიშვნელოვანი პროექტი.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა ნაპირსამაგრი, დაშრობითი და სამელიორაციო სამუშაოები.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, ნაპირსამაგრი სამუშაოების 3 მასშტაბური პროექტი დავასრულეთ, საერთო ღირებულებით - 10 238 766 ლარი. დაშრობითი და სამელიორაციო სამუშაოები 6 ადმინისტრაციულ ერთეულში განვახორციელეთ.

სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს გაზიფიცირების ბოლო ეტაპი. მოეწყო 100კმ-მდე გაზსადენის მაგისტრალი და ბუნებრივი აირის ქსელში ჩაერთო 1000-ზე მეტი აბონენტი. ამ ეტაპზე გაზსადენის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 4 ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს. მაგისტრალი მოეწყობა 235კმ-ზე და ბუნებრივი აირის ქსელში ჩაერთვება 1700-მდე აბონენტი, რის შედეგადაც სენაკის მუნიციპალიტეტი სრულად გაზიფიცირდება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი - წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით, მოწყობილია 55 კმ-მდე წყალმომარაგების ქსელი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ქალაქ სენაკის 3 670-მდე ბენეფიციარი 24 საათიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგებით ისარგებლებს. პროექტის ღირებულება 51 მილიონ ლარზე მეტია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მინდა ყურადღება გავამახვილო მიმართულებაზე, რომელზეც უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რადგან საქმე ეხება ჩვენი სენაკელების ჯანმრთელობასა და სოციალურ საჭიროებებს. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის 16 პროგრამის ფარგლებში 19 ათასზე მეტ მოქალაქეს გავუწიეთ დახმარება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში ამოქმედდა სახელმიწიფო პროგრამა-პერსონალური ასისტენტის სერვისი შშმ პირებისთვის.

ასევე, დავნერგეთ სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფის პროგრამა.2024 წელს დავნერგეთ აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომლითაც

დღემდე, 86-მა მოზარდმა ისარგებლა. ასევე ხელმისაწვდომი გავხადეთ „ადოსის“ კვლევის ადგილზე ჩატარება.

2024 წლიდან დავნერგეთ აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა და ხელმისაწვდომი გავხადეთ “ადოსის” კვლევის ადგილზე ჩატარება. ასევე, ამოქმედდა სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამა, რომელზეც მოთხოვნა მაღალია და იგეგმება აღნიშნული პროგრამის გაძლიერება.

2024 წელს კლინიკა არქიმედესთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, დიალეზის ცენტრი გავხსენით და შევუძინეთ სადიალეზო აპარატურა.

ახალგაზრდები ქმნიან ჩვენს მომავალს, სწორედ ამიტომ ჩვენი გუნდის მთავარი პრიორიტეტი მათი მხარდაჭერაა.

2023 წელს, დავიწყეთ სტუდენტების ხელშეწყობის დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებში, ფინანსური დახმარება გავუწიეთ სოციალურად დაუცველ, დედ-მამით ობოლ და დევნილის სტატუსის მქონე 40-მდე სტუდენტს.

ასევე, წარმატებული მოსწავლეების წახალისებისა და განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის, კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ფულადი ჯილდოს სახით გაიცა 90 ათასზე მეტი ლარი.

წარმატებული სპორტსმენების წახალისების, სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ფულადი ჯილდოს და მხარდაჭერის მიზნით გაცემულია 90 ათასამდე ლარი.

ბოლო ორი წლის მანძილზე, წარმატებული ახალგაზრდების წახალისებისა და ახალგაზრდული ინიციატივების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით ფულად ჯილდოსთან ერთად, “skillwill-თან” ერთობლივი პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს სრულად დაუფინანსდათ ციფრული მარკეტინგისა და პროგრამების კურსები.

მიმდინარე წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, წარმატებული ახალგაზრდის, ნიკოლოზ ქეცბაიას ინიციატივით, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობა შეიქმნა.

აღნიშნული ინიციატივის მიზანია – ახალგაზრდებში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, ლიდერული უნარების განვითარება და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების გაცნობა. წარმომადგენლობა 200-ზე მეტ სენაკელ ახალგაზრდას აერთიანებს, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა მნიშვნელოვან აქტივობებში."

სენაკის მერმა ასევე წარადგინა სამოავლო გეგმები და სტრატეგიები:

მუნიციპალიტეტს ახალი მულტიფუნქციური ცენტრი და საცურაო კომპლექსი შეემატება, ასევე, განახლდება ცენტრალური სტადიონის ინფრასტრუქტურა;

გავაგრძელებთ დარჩენილი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის მასშტაბურ პროექტებს; საჯარო სკოლების, საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესს;

მინდა გავაჟღერო ჩვენი მოქალაქეების ინიციატივა – მუნიციპალიტეტში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცენტრალური ბიბლიოთეკის მშენებლობის იდეის შესახებ, რასაც აუცილებლად განვახორციელებთ;

მუნიციპალური ტრანსპორტის სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტს საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოემსახურება;

დავასრულებთ სენაკის მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირების პროცესს; წყალმომარაგების სისტემის სრულ რეაბილიტაციას;

გავაგრძელებთ ადმინისტრაციული ერთეულების სწრაფ და ხარისხიან ინტერნეტიზაციას;

კიდევ უფრო გავზრდით მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მუნიციპალურ პროგრამებსა და სერვისებზე;

სამშობიარო სახლი სრულად აღიჭურვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ყველა საჭირო სამედიცინო აპარატურით და მრავალპროფილურ სერვისებს შესთავაზებს ჩვენს მოსახლეობას;

გავაგრძელებთ და ასევე დავნერგავთ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერ პროექტებს და პროგრამებს; ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შევქმნით შესაბამის გარემოს;

განათლებისა და კულტურის ხელმისაწვდომობისა და შემდგომი განვითარებისთვის – გავაგრძელებთ შემოქმედებითი და ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების დანერგვას; სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ყველა თაობის სენაკელის მხარდაჭერასა და პოპულარიზაციას;

სოფლის მეურნეობის სექტორისა და ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით – გავაგრძელებთ და ასევე დავნერგავთ ინოვაციურ პროექტებსა და პროგრამებს;

დაგეგმილი გვაქვს ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრების მოწყობა.

ერთად უნდა განვაახლოთ სენაკის მუნიციპალიტეტი! ჩვენი სლოგანიც ეს არის – ჩვენ, უკეთესი სენაკისთვის!